პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი
30
აგვისტო
1937 წ.
№ 198 (4999)

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ სტახანოველებს კიდევ უფრო გაშალონ სტახანოვური მოძრაობა და გაავრცელონ იგი მთელი სიღრმე-სიგანით სსრ კავშირის ყველა ოლქსა და რაიონში.

ი. სტალინი

მთლიანი სტახანოვური საწარმოებისაკენ!

მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებს ახალი ადამიანის შექმნა წარმოდგენილი ჰქონდათ ახალი საზოგადოებრივი წარმოების საფუძველზე. ფრ. ენგელსი „კომუნიზმის პრინციპებში“ წერდა: წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მის მიერ გამოწვეული ახალი განვითარება წარმოებისა საჭიროდ ხდის ახალ ადამიანებს და ჰქმნის კიდეც ამ ახალი პირობების შესაფერ ადამიანებსო.

ჭეშმარიტად! ეს იდეა ხორციშესხმულია სოციალიზმის ქვეყანაში. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, გააუქმა რა საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება, მსოფლიოში პირველმა მოსპო ექსპლოატატორული კლასები, ადამიანის მიმართ ბარბაროსული დამოკიდებულება და შეჰქმნა თავისუფალი, ლაღი შრომის ადამიანები.

1935 წლის 4 მაისს წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე ამხანაგმა სტალინმა სთქვა: ტექნიკას დაუფლებულ ადამიანებს შეუძლიათ სასწაულების მოხდენაო. არ გასულა რამდენიმე თვე, და ამავე წლის 31 აგვისტოს დონბასის ქვანახშირის მაძებ „ცენტრალნაია - ირმინოში“ მბრეველმა ალექსი სტახანოვმა სანგრევი ურითი ქვანახშირის მონგრევის საკავშირო რეკორდი დაამყარა. ექვსი საათის მუშაობით მან შეძლო 102 ტონა ქვანახშირის მონგრევა.

სტახანოვის ეს ბრწყინვალე გამარჯვება ალვით მოედო ყველა მაღაროს, ყველა ქარხანას, სოციალისტური სოფლის მინდვრებს. გაიშალა ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. სტახანოველთა მოძრაობა ფრიად ძლიერი ხასიათის მატარებელია. ის ეფუძნება ტექნიკის ზრდას, ტექნიკის ათვისებას. სტახანოველები ხშირად ამტკიცებენ, რომ ტექნიკა ჯადოსნური ძალაა, რომელიც ადამიანის ხელში ქმნის სასწაულებს. ტექნიკის ათვისება, ტექნიკის ზრდა — აი ის ძირითადი ნიადაგი, რომელზედაც ამოსდის სტახანოველთა მოძრაობა.

ამ ნიადაგზე ამოსდის სტახანოველთა მოძრაობის მეორე ძირითადი თვისება — ის, რომ სტახანოველთა მოძრაობა ეფუძნება ორგანიზაციულ ზრდას, ორგანიზაციულ ცვლილებას წარმოების ძველ ორგანიზაციაში. სტახანოველთა მოძრაობა ეფუძნება ახალ ორგანიზაციულ ფორმებს, რომლებიც ქმნიან ყველა პირობას ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის, ტექნიკის ზრდისათვის

საქართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკა

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური მავნებელთა ორგანიზაციის პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებლის, საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ი. ტალახაძის სიტყვიდან

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია — კონტრრევოლუციონერთა მოსკოვის ცენტრის შტოა

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ტერორისტულ - დივერსიული ორგანიზაციის პროცესზე 27 აგვისტოს ვრცელი და მეტად შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი, საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ი. ტალახაძე.

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდნენ საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის ყოფილი მდივანი ა. წითლიძე, რაიკომსკომის ყოფილი თავმჯდომარე შ. ალავერდაშვილი, წნორის მტს-ის ყოფილი დირექტორი ი. სტეფანოვი; ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი კ. აბაშიძე, რაიონის ყოფილი სახალხო მოსამართლე ვ. მახოშვილი, დამცველთა კოლეგიის ყოფილი თავმჯდომარე ა. კობეშავიძე, საქმოსის სოფსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გ. მეტრეველი. სოფ. ბოდბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ფ. ყაჯრიშვილი, სოფ. ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ყოფილი თავმჯდომარე ქუფარაშვილი, 7 ნოემბრის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ნ. ჯავაშვილი და ხირსის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი უფროსი აგრონომი მ. შათირიშვილი, იბირებდა რა თავის მხარეზე საბჭოთა ხელისუფლებისადმი ყველა მტრულად განწყობილ ელემენტებს — მეფის ყოფილ ოფიცრებს, კულაკებს, ტროცკისტებს და სხვა სისხლის სამართლის დამნაშავეთ, ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და კაპიტალიზმის აღსადგენად.

— როგორც წინასწარ გამოძიებიდან და ამ პროცესზე პრალდებულთა და მოწმეთა ჩვენებიდან გამოირკვა, — ამბობს ამხ. ტალახაძე — საბრალდებო დასკვნით წარმოდგენილი ბრალდება მათ მიმართ მთლიანად და საგნობით დადასტურებულია. პროცესმა გვიჩვენა, რომ ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა ტროცკი-ზინოვიევ - პიატაკოვ-ბუხარინ-რიკოვის საკავშირო კონტრრევოლუციური ცენტრის ერთერთ შტოს, მის ფილიალს, მის ერთერთ განყოფილებას. როგორც ვიცით, ამ ფილიალს საქართველოში ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრი, რომელშიაც შედიოდნენ: ბუდუ მდივანი, მ. ტორელიძე, მ. ოკუჯავა, ელიავა, ყურულოვი და სჩვიბი. ყველა ესენი გაძოძკარავებულ და გასამართლებულ იქნენ ამ რამდენიმე ხნის წინათ და მათ დაშსახურებული სასჯელი ძიეღეს. მემარჯვენეთა საქართველოს ცენტრი კი სიღნაღის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა თავისი აქტიური წევრების, პირისსხლიანი ფაშისტების აგენტების: შ. მათიკაშვილის, ვ. გვარამიას, პ. აღნიაშვილის, მ. ვარამაშვილის, ს. კუხალეიშვილის და სხვათა წარგზავნით, ხოლო ადგილზე ა. წითლიძის, შ. ალავერდაშვილის, კ. აბაშიძის და სხვების საშუალებით.

მათი მიზნები და ამოცანები

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ი. ტალახაძე, გადადის რა მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების გარჩევაზე, ამბობს:

— ეს გარეწარნი: პ. აღნიაშვილი, შ. მათიკაშვილი და სხვები დაუკავშირდნენ რა ადგილობრივ ბანდიტებს, ყოფილ მენშევიკებს, კულაკურ ელემენტებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ პირებს, ალავერდაშვილს, წითლიძეს, აბაშიძეებს, დიდებულიძეებს და სხვებს, შეუდგნენ ამ ბანდიტების საშუალებით საბჭოთა ხელისუფლების ძირგამომთხრელ მუშაობას. ისინი უანგარიშოდ ემსახურებოდნენ ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებს, ყოფილ ოფიცრებს, 1924 წლის ავანტურის მონაწილეებს და ემზადებოდნენ ბრძოლისთვის, რომ კვლავ დაებრუნებინათ გლეხებისათვის ბნელი, მათხოვრული, მონური ცხოვრება, ხოლო მემამულეებისა და ვაჭარ - ჩარჩებისათვის — დაკარგული ბედნიერება და მუქთახორული განცხრომა. არაფერს ზოგავდნენ ამისათვის რომ დაებრუნებინათ კაპიტალისტებისა და მემამულეებისათვის მიწა-წყალი, ქარხნები და მაღაროები და საერთოდ ყველაფერი ის, რაც მათ ჩამოართვა ოქტომბრის რევოლუციის ხელმძღვანელმა კომუნისტურმა პარტიამ ლენინ-სტალინის მეთაურობით და გადაეცა მუშებსა და მშრომელ გლეხობას უფასოდ და სამუდამოდ.

არ დარჩენილა არც ერთი ბოროტება: ტერორი, გამცემლობა, მავნებლური თავდასხმა და სხვა, ამ კონტრრევოლუციური ტერორისტული დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაციის წევრებს თავიანთ ხელობად რომ არ გაეხადნოთ. უსახელო და განუზომელია ის დანაშაული, რაც ჩაიდინა საბრალდებო სკამზე მჯდომმა თერთმეტმა კაცმა.

მოსკოვში ჩატარებულმა ზინოვიევ - კამენევის და პიატაკოვ-რადეკის კონტრრევოლუციური ცენტრების პროცესმა და აგრეთვე დღევანდელმა პროცესმა, — განაგრძობს ამხ. ტალახაძე, — ცხადყო რომ ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებმა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად აირჩიეს ბრძოლის შემდეგი სახეობანი: ტერორი, შეიარაღებული ბანდების მოწყობა და მომზადება აჯანყებისათვის, მავნებლობა, დივერსიები, მშრომელი გლეხობის დამცირება და შეურაცყოფა ხელისუფლებისათვის სახელის გასატეხად.

ტერორი. კლასობრივმა მტრებმა და მათმა აგენტებმა კარგად იციან, რომ სანამ კომუნისტურ პარტიას სათავეში უდგია გამოცდილი ხელმძღვანელობა, სანამ მშრომელ მასებს მშრომელთა ბელადი ამხანაგი სტალინი და მისი საუკეთესო თანაშებრძოლნი მიუძღვიან წინ, შეუძლებელია სოციალიზმის მედგარი წინსვლის შეჩერება, — ამბობს ამხ. ტალახაძე — სწორედ ამიტომაა, რომ მტრებმა გადასწყვიტეს ამ ავანგარდის გახადგურება. და რადგან ეს შეუძლებელია ღია ბრძოლაში, ამისათვის მათ ამოირჩიეს ბნელი საფარიდან ტერორისტული აქტების ჩადენა ხელისუფლების ერთგული შვილების, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების, პროლეტარული საქმისათვის თავდადებული მებრძოლების წინააღმდეგ. მტრებმა მიზნად დაისახეს პარტიის ხელმძღვანელთა განადგურება ჯაშუშთა და ბანდიტთა ბინძური ხელებით, მათ დაუმიზნეს საერთაშორისო პროლეტარიატის მედროშეებს და იმედებს. ეს ჯალათები ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ამხანაგ სტალინისა და პარტიისა და მუშათა კლასის გამოჩენილი, თავდადებული ხელმძღვანელების — ამხანაგ ვოროშილოვის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ბერიას, კოსიორის და სხვათა წინააღმდეგ, კერძოდ, მემარჯვენეთა საქართველოს ცენტრს ბუდუ მდივნის მეთაურობით დავალებული ჰქონდა ამხანაგ ლ. ბერიას მოკვლა. და ეს დირექტივა მიიღო აგრეთვე სიღნაღის რაიონის ამ ბანდამ, რომლის წევრებიც ამჟამად თქვენს წინაშე საბრალდებო სკამზე სხედან და რომლებიც მოელიან ულმობელ განაჩენს. ეს დავალება მიიღო კახეთის ბანდის თვალსაჩინო წევრმა კ. აბაშიძემ.

შეიარაღებული განდგომის მოწყობა. — აბაშიძეს, — განაგრძობს ამხ. ი. ტალახაძე, — ძძავე დროს დაევალა შეიარაღებული ბანდების მოწყობა საბჭოთა ქვეყანაზე იმპერიალისტების თავდასხმის შემთხვევაში შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. აბაშიძემ, მეფის ამ პრორუჩკამ და შემდეგ მენშევიკების, მილიციის უფროსმა, ხალხის მტრის პეტრე აღნიაშვილის დავალებით მოაწყო კიდეც ოცამდე შეიარაღებული ბანდა. მეამბოხეთა ჯგუფებში ფაშისტმა აბაშიძემ ჩაიბა ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში განზრახ მოკალთებული, გადასახლებიდან დაბრუნებული ყოფილი მენშევიკები, გვარდიელები, მეფის ოფიცრები, ყოფილი კულაკები, პროფესიული ბანდიტები, რომლებიც მწყემსის ჭურჭლით იყვნენ გახვეულნი. მეამბოხეთა ეს ჯგუფები მოეწყო და განაწილდა სიმხედრო სტრუქტურის მიხედვით. აბაშიძემ მოახერხა ამ ხალხის საიდუმლოდ გადამზადება. ასწავლა მათ, თუ როგორ ემოქმედათ ომის დროს, როგორ დაეხოცნათ პატიოსან მშრომელთა ცოლშვილი, როცა ხალხი სამობლოს დასაცავად ფრონტზე წავიდოდა.

ეს ბანდა შეიარაღებული იყო შაშხანებით, რევოლვერებით და ხანჯლებით, რაც აბაშიძემ თითქოს ცხვრის დასაცავად მწყემსებისათვის მოიმარაგა.

მავნებლობა სოფლის მეურნეობაში

სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. ი. ტალახაძემ დაასახელა მთელი რიგი ფაქტები, თუ რა დამანგრეველ მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია და მისი წევრები სოფლის მეურნეობის ხაზით.

— ახლა ყველასათვის აშკარაა,— ამბობს თავის სიტყვაში ამხ. ტალახაძე, — თუ რა სიმკაცრით სცდილობდნენ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების დაშლას და განადგურებას რაიკომის ყოფილი მდივანი წერეთელიძე, წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ყოფილი დირექტორი სტეფანოვი, სიღნაღის რაიკომსკომის ყოფილი თავმჯდომარე ალავერდაშვილი და მათ გარშემო მთავანეე შემოკრებილი სხვა მავნებლები' და ბანდიტები, რომლებიც ახლა სამართალში არიან მიცემულნი. დადასტურებულია, რომ კონტრრევოლუციურმა, ტერორისტულმა დივერსიულ - მავნებლურმა ჯგუფმა, რომელიც სიღნაღის რაიონში მუშაობდა და რომელსაც ცენტრიდან ხელმძღვანელობდნენ ალნიაშვილი, მგალობლიშვილი, მათიკაშვილი, კუხალეიშვილი და სხვები, რაიონში კი წითლიძე, ალავერდაშვილი და სტეფანოვი, მრავალი მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს.

მავნებლობა მემინდვრეობაში, მავნებლობა მანქანა - ტრაქტორთა სადგურებში, მავნებლობა საქართველოში საკმაოდ ცნობილ საბჭოთა მეურნეობებში, მავნებლობა სასოფლო საბჭოების ხაზით, რაც გამოიხატებოდა სავადასახადო პოლიტიკის უხეშად დამახინჯებაში, მავნებლობა რაიონის სასამართლო ორგანოსა და პროკურატურაში,—აი როგორ ფართოდ იყო გაშლილი და განლაგებული ამ მავნებლობის ფესვები სიღნაღის რაიონში.

იმ დროს, როდესაც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მისი ხელმძღვანელი ამხანაგი ლავრენტი ბერია ყოველდღიურად დაუღალავ ენერგიით იბრძოდა და იბრძვის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის საქმის კიდევ უფრო განვითარებისათვის — დასძენს ამხ. ი. ტალახაძე,—ორდესაც პარტიისა და ხელისუფლების მთელი ენერგია, ძალღონე და ფიქრი მიმართულია იქითკენ, რომ მეტი და მეტი აღმავლობით წარიმართოს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში შემდგომ გამარჯვებათა მოსაპოვებლად,—აი ამ დროს სიღნაღის რაიონში, საქართველოს ამ ერთ-ერთ უდიდეს და მდიდარ, ბარაქიან რაიონში მოკალთებული მტრები მთელი ენერგიით და მთელი თავიანთი შესაძლებლობით იბრძოდნენ იმისათვის, რომ ძირი გამოეთხარათ რაიონის ეკონომიური სიძლიერისათვის, დაენგრიათ სიღნაღის რაიკომსკომის ყოფილი თავმჯდომარე ალავერდაშვილი და მათ გარშემო შეძლებულ ნაწილად დაეგიანებინათ და უმთავრესად ცუდ ამინდებში, სთესდნენ ცუდს, ხშირად ხელოვნურად გაფუჭებულ თესლს. სოფელ საქობოს შვიდი ნოემბრის სახელობის კოლმეურნეობას ალაზნის სახელობის კოლმეურნეობა და სხვათა მეურნეობიდან გადასცეს მოხნული მიწები. საჭირო იყო მათი მხოლოდ გადახვნა და დათესვა. კარგად დაწრთობილ ტრაქტორისტებს ჰქონდათ საშუალებანი გააჩნდა, მეტისა და გაბერილ გეგმას აძლევდნენ და, პირიქით, ვისაც მეტი საწარმოო საშუალებანი ჰქონდა—აძლევდნენ ნაკლებს. ამას ეს მავნებლები სჩადიოდნენ იმისათვის, რომ შეესუსტებინათ კოლმეურნეობათა ძლიერება და სახელი გაეტეხათ საკოლმეურნეო შრომისათვის.

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები კოლმეურნეებს შორის მიწას ისე მავნებლურად ანაწილებდნენ, რომ შრომა მეტი დახარჯულიყო. შედეგი კი კოლმეურნეებს ნაკლები მიეღოთ. დადასტურებულია, რომ წითელ-წყაროს მთელ რიგ კოლმეურნეობებს ამ მავნებლებმა მიწა მრავალ ნაკვეთად მისცეს, რაც აფერხებდა მის რაციონალურად გამოყენებას. წინა-მხრის კოლმეურნეობებს მიწა უკანა მხარეში აქვთ მიზომილი, ხოლო უკანა მხარისას წინა მხარეში. მათ ჩაშალეს საკარმიდამო მიწების გამოყოფის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაო ჯერ კიდევ ორი წლის წინათ უნდა დამთავრებულიყო, მთელ რიგ კოლმეურნეობებში, როგორიცაა ბოდბისხევის სტალინის სახელობისა, ძველი ანაგის გზა. „კოლმეურნის“ სახელობისა და სხვ., კოლმეურნეთა მეტ ნაწილს საკარმიდამო მიწა ჯერაც არა აქვს მიზომილი.

მავნებლობა მეხვოველეობაში. ამხ. ტალახაძემ დაწვრილებით ილაპარაკა მეცხოველეობის დარგში გაწეული მავნებლური მუშაობის შედეგებზე.

— კულაკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა, — სთქვა ამხ. ტალახაძემ, — კოლექტივიზაციის პერიოდში იერიში მიიტანეს მეცხოველეობაზე და იგი განადგურებამდე მიიყვანეს. მტრებმა იციან, რომ მეცხოველეობა სათუთი დარგია და სწორედ ამიტომ შეუტიეს მას. სიღნაღის მავნებლები შეგნებულად აფერხებდნენ მეცხოველეობის აღმავლობას. მათიკაშვილს, გვარამიასა და სჩვების მეშვეობით შარშან რაიონმა მიიღო ცხვრის მეტიზაციის გეგმა 20 ათას სულზე. მაშინ როდესაც აქ ყოველგვარი პირობები არსებობდა 4-5-ჯერ და კიდევ მეტად გაეზარდათ მეტიზაციის ტემპები. ეს მავნებლები ხელოვნურად აგვიანებდნენ ეპიზოოტიას, დაავადებულ პირუტყვს განზრახ ურევდნენ ჯანმრთელ ჯოგში და ამით მათაც ავადდებდნენ. ამ საშუალებით ალავერდაშვილმა და ხახაროვმა 13.000 სული ცხვარი დახოცეს მარტო რაიონსკომის კომბინატში.

ამხანაგ ლ. ბერიამ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის აგვისტოს პლენუმზე გაამახვილა ყურადღება მეგრული თხის გავრცელებაზე. თხის ეს ჯიში ადგილობრივი ჯიშის ძროხაზე მეტ რძეს იძლევა, საკვები კი 4-5-ჯერ ნაკლები სჭირდება. ალავერდაშვილმა მავნებელ გვარამიას მეშვეობით ჯიშის ნაცვლად სამეულოში 70 უჯიშო თხა შეიძინა. ცუდ ამინდებში უყურადღებოდ გადმოგზავნა და დააავადა, შემდეგ ეს ავადმყოფი პირუტყვი ჯანსაღ ცხვრებში შეურია და ამ გზით ავადმყოფობა გავრცელა.

ჯიშების გაუმჯობესებისათვის სიღნაღის რაიონში შემოყვანილი სიმენტალისა და შვიცის ჯიშის 60 ძროხა მავნებლებმა ხელოვნურად დააავადეს ინფექციური აბორტით. ამ ძროხებისაგან ავადმყოფობა შემდეგ კოლმეურნეობათა ჯანსაღ პირუტყვს გადაედო. ამით ალავერდაშვილმა, გვარამიამ, მათიკაშვილმა და სხვებმა ორი საქმე გააკეთეს: ზარალი მიაყენეს კოლმეურნეებს და ხალხის თვალში სახელი გაუტეხეს ჯიშიანი პირუტყვის მოშენებას.

ეს არამზადები დიდ მავნებლობას ეწეოდნენ მეღორეობის დარგშიც. მეღორეობის ფერმებს აწყობდნენ ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც საკვები ბაზა არ იყო, ხოლო ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც მეღორეობის განვითარებისათვის ყველა პირობები არსებობდა, ღორების გაშენების გეგმას არ სახავდნენ. ასეთი მდგომარეობა იყო ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“, სოფ. საქობოს კეცხოველის სახ. კოლმეურნეობაში და სხვაგან. კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“ დაესაქობოს სოფლის საბჭოს დიდხანს ედგნენ სათავეში მავნებელი დივერსანტები ქუფარაშვილი და მეტრეველი, რომლებიც, ასრულებდნენ რა წითლიძისა და ალავერდაშვილის დავალებებს, სცდილობდნენ კოლმეურნეობებში არეულ-დარეულობა შეეტანათ და დაეშალათ ისინი. ალავერდაშვილმა დასწვა 800 სული ცხვარი და გაანიავა საბინაო მშენებლობისათვის გადადებული 400.000 მანეთი.

მავნებლობა მტს ხაზით. მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა დიდი ზიანი მიაყენეს სატრაქტორო პარკს, —ამბობს ამხ. ტალახაძე და მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები. ხალხის მტრის შ. მათიკაშვილის და ვ. გვარამიას მუშაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ გაენადგურებინათ სატრაქტორო პარკის ერთი მეხუთედი. მავნებელი სტეფანოვი იმ ტრაქტორებს, რომლებსაც მიმდინარე რემონტი ესაჭიროებოდა, აყენებდა კაპიტალურ რემონტში. მავნებლურად იხარჯებოდა დიდძალი საწვავი მასალა. არ სწარმოებდა მისი აღრიცხვა. სტეფანოვი და მისი დამქაშები ატარებდნენ ზერელე ხვნას 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე, ყოველწლიურად შლიდნენ მარქანა-იარაღების რემონტს, მავნებლური მიზნით ამტვრევდნენ კომბაინებს და ტრაქტორებს, ცალკეულ პატარ-პატარა ნაკეთებზე იყენებდნენ დიდძალიან „ჩტზ“ ტრაქტორებს, რომლებსაც ტალახში ამოშავებდნენ, აწყობდნენ დიდ გადარბენებს, რათა ტრაქტორები მომცდარიყო და ამავე დროს უზომოდ დაეწვათ საწვავი მასალა. სიღნაღის მტს-ებში არ სრულდებოდა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებანი.

მავნებლობა მეველანეობაში. კახეთი და კერძოდ სიღნაღის რაიონი თავისი მაღალხარისხოვანი ღვინით ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. მევენახეობისაგან მაღებული შემოსავალს კახელი გლეხის ბიუჯეტში დიდი ნაწილი უჭირავს, მაგრამ ამ მავნებელთა მიზეზით სოფლის მეურნეობის ეს მეტად საპატიო დარგი მაინც ჩამორჩენილია. ბრალმდებელი ი. ტალახაძე თავის სიტყვაში ასახელებს მავნებლურ ტროცკისტებს, მეტრეველსა და ტროცკისტ გამყიდველ იოსებ მჭედლიშვილს, რომელმაც ათასეული მანეთები მიითვისა. 2 წლის პროცენტიანი სასჯელი გამოუტახეს და გაანთავისუფლეს.

— არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უსამართლოებას სჩადიოდნენ ის ადამიანები, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ სამართლიანობისათვის ბრძოლის საქმე. ამას სჩადიოდნენ ის ადამიანები, რომლებიც სათავეში ედგნენ ისეთ ორგანოს, როგორიც არის სასამართლო და დამცველთა კოლეგია. მაგრამ სასამართლოში მარტო მახოშვილი და კობეშავიძე როდი იყვნენ. მავნებლურად მოქმედებდნენ და მათთან ერთად კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში იყვნენ ჩაბმულნი მოსამართლე ძიკირტუმოვი, სასამართლოს ყოფილი მდივანი სარქისოვა და ყოფილი პროკურორი გ. მესტაშვილი. ეს არამზადები თვით სასამართლოს პროცესზედაც კი ლანძღავდნენ და აგინებდნენ კოლმეურნე გლეხებს და ამით მშრომელთა მასებში ნერვიულობას აღმოჩენილი ორგანოებისადმი ზიზღსა და ღვარძლს.

მშრომელ გლეხთა აწიოკებაში ამ არამზადებს არ ჩამორჩებოდა ბრალდებული მეტრეველი. პარტიამ მას ჩაბარა მეტად პასუხსაგები პოსტი— სახ. საბჭოს თავმჯდომარეობა. მეტრეველს კოლმეურნეობებისათვის სწორი ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. მან კი, როგორც — მემარჯვენე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრმა, ხალხის მტრების წითალიძისა და ალავერდაშვილის დავალებით კოლმეურნეობათა დაშლას მიჰყო ხელი. მეტრეველი შეგნებულად ამბობდა საბჭოთა კანონებს, ზედმეტად ბეგრავდა და ყოველმხრივ ავიწროებდა გლეხებს, ზედმეტად შეწირული გადასახადის დასაფარავად უყიდდა მათ საოჯახო ნივთებს. მან კოლმეურნეობა „7 ნოემბერსა“ და „გლეხის სინათლეში“ მავნებლურად გადაასწორა და გაადიდა სესხზე ხელისმოწერის თანხათა ჯამი, რამაც კოლმეურნეებში აღშფოთება გამოიწვია. მეტრეველმა წინასწარი განზრახვით კოლმეურნეობა „7 ნოემბერში“ მოაწყო აბრეშუმის ჭიის თუთის ცუდი ფოთლით კვება, რასაც შედეგად მოჰყვა ჭიის ავადმყოფობა.

გამორკვეულია, რომ მეტრეველი შემთხვევით არ მოხვედრილა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. მას წითლიძისა და ალავერდაშვილისაკენ იზიდავდა თავისი ტროცკისტული ბუნება. მომდინარე წელს, როდესაც პარტია ანადგურებდა ტროცკისტებს, მეტრეველიც, როგორც გაუსწორებელი ტროცკისტი, გარიცხა თავისი რიგებიდან და ჩამოართვა მანდატი. მეტრეველი თითქოს გულწრფელად დაჰპირდა პარტიას, რომ იმუშავებდა ენერგიულად. გამოსწორებოდა და იქნებოდა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე. ხრიკებითა და თაღლითობით მეტრეველი ისევ შეძვრა პარტიაში, დაიბრუნა პარტიული მანდატი და გაახერა მავნებლური და დივერსიული მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

O

პროცესმა, რომელიც აქ 4 დღეს გრძელდებოდა, მოგვცა ნათელი სურათი იმ ბოროტმოქმედებებისა და მავნებლური მუშაობისა, რომლებსაც ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები ატარებდნენ სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის დაცემისა და განადგურებისათვის, მშრომელ მასებში უკმაყოფილების შექმნის მიზნით, ხელფასს არ აძლევდა. ჯუგაანის კოლმეურნეობის წევრებს მოსამართლემ სამ-სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა ისინის, რომ მათ კალოზე ნარჩენი ხორბალი შეაგროვეს, გასწმინდეს, გაჰყიდეს და ამით „კოლმეურნეთა საერთო ჯახშამი მოაწყეს. ხოლო ტროცკისტ გამყიდველ იოსებ მჭედლიშვილს, რომელმაც ათასეული მანეთები მიითვისა, 2 წლის პირობითი სასჯელი გამოუტახეს და გაანთავისუფლეს.

— არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უსამართლოებას სჩადიოდნენ ის ადამიანები, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ სამართლიანობისათვის ბრძოლის საქმე. ამას სჩადიოდნენ ის ადამიანები, რომლებიც სათავეში ედგნენ ისეთ ორგანოს, როგორიც არის სასამართლო და დამცველთა კოლეგია. მაგრამ სასამართლოში მარტო მახოშვილი და კობეშავიძე როდი იყვნენ. მავნებლურად მოქმედებდნენ და მათთან ერთად კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში იყვნენ ჩაბმულნი მოსამართლე ძიკირტუმოვი, სასამართლოს ყოფილი მდივანი სარქისოვა და ყოფილი პროკურორი გ. მესტაშვილი. ეს არამზადები თვით სასამართლოს პროცესზედაც კი ლანძღავდნენ და აგინებდნენ კოლმეურნე გლეხებს და ამით მშრომელთა მასებში ნერვიულობას აღმოჩენილი ორგანოებისადმი ზიზღსა და ღვარძლს.

მშრომელ გლეხთა აწიოკებაში ამ არამზადებს არ ჩამორჩებოდა ბრალდებული მეტრეველი. პარტიამ მას ჩაბარა მეტად პასუხსაგები პოსტი— სახ. საბჭოს თავმჯდომარეობა. მეტრეველს კოლმეურნეობებისათვის სწორი ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. მან კი, როგორც — მემარჯვენე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრმა, ხალხის მტრების წითალიძისა და ალავერდაშვილის დავალებით კოლმეურნეობათა დაშლას მიჰყო ხელი. მეტრეველი შეგნებულად ამბობდა საბჭოთა კანონებს, ზედმეტად ბეგრავდა და ყოველმხრივ ავიწროებდა გლეხებს, ზედმეტად შეწირული გადასახადის დასაფარავად უყიდდა მათ საოჯახო ნივთებს. მან კოლმეურნეობა „7 ნოემბერსა“ და „გლეხის სინათლეში“ მავნებლურად გადაასწორა და გაადიდა სესხზე ხელისმოწერის თანხათა ჯამი, რამაც კოლმეურნეებში აღშფოთება გამოიწვია. მეტრეველმა წინასწარი განზრახვით კოლმეურნეობა „7 ნოემბერში“ მოაწყო აბრეშუმის ჭიის თუთის ცუდი ფოთლით კვება, რასაც შედეგად მოჰყვა ჭიის ავადმყოფობა.

გამორკვეულია, რომ მეტრეველი შემთხვევით არ მოხვედრილა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. მას წითლიძისა და ალავერდაშვილისაკენ იზიდავდა თავისი ტროცკისტული ბუნება. მომდინარე წელს, როდესაც პარტია ანადგურებდა ტროცკისტებს, მეტრეველიც, როგორც გაუსწორებელი ტროცკისტი, გარიცხა თავისი რიგებიდან და ჩამოართვა მანდატი. მეტრეველი თითქოს გულწრფელად დაჰპირდა პარტიას, რომ იმუშავებდა ენერგიულად. გამოსწორებოდა და იქნებოდა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე. ხრიკებითა და თაღლითობით მეტრეველი ისევ შეძვრა პარტიაში, დაიბრუნა პარტიული მანდატი და გააჩაღა მავნებლური და დივერსიული მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

O

პროცესმა, რომელიც აქ 4 დღეს გრძელდებოდა, მოგვცა ნათელი სურათი იმ ბოროტმოქმედებებისა და მავნებლური მუშაობისა, რომლებსაც ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები ატარებდნენ სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის დაცემისა და განადგურებისათვის, მშრომელ მასებში უკმაყოფილების შექმნის მიზნით, ხელფასს არ აძლევდა. ჯუგაანის კოლმეურნეობის წევრებს მოსამართლემ სამ-სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა იმისთვის, რომ მათ კალოზე ნარჩენი ხორბალი შეაგროვეს, გასწმინდეს, გაჰყიდეს და ამით „კოლმეურნეთა საერთო ჯახშამი მოაწყეს. ხოლო ტროცკისტ გამყიდველ იოსებ მჭედლიშვილს, რომელმაც ათასეული მანეთები მიითვისა, 2 წლის პირობითი სასჯელი გამოუტახეს და გაანთავისუფლეს.

— არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ უსამართლოებას სჩადიოდნენ ის ადამიანები, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ სამართლიანობისათვის ბრძოლის საქმე. ამას სჩადიოდნენ ის ადამიანები, რომლებიც სათავეში ედგნენ ისეთ ორგანოს, როგორიც არის სასამართლო და დამცველთა კოლეგია. მაგრამ სასამართლოში მარტო მახოშვილი და კობეშავიძე როდი იყვნენ. მავნებლურად მოქმედებდნენ და მათთან ერთად კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში იყვნენ ჩაბმულნი მოსამართლე ძიკირტუმოვი, სასამართლოს ყოფილი მდივანი სარქისოვა და ყოფილი პროკურორი გ. მესტაშვილი. ეს არამზადები თვით სასამართლოს პროცესზედაც კი ლანძღავდნენ და აგინებდნენ კოლმეურნე გლეხებს და ამით მშრომელთა მასებში ნერვიულობას აღმოჩენილი ორგანოებისადმი ზიზღსა და ღვარძლს.

მშრომელთა აბუჩად აგდება

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ი. ტალახაძე თავის სიტყვაში დაწვრილებით ჩერდება ავრეთვე სიღნაღის რაიონში აღმოჩენილი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ჯგუფის იმ წევრთა მავნებლურ მუშაობაზე, რომლებიც მოკალათებული იყვნენ სიღნაღის რაიონის სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში. სახალხო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს მახოშვილს და დამცველთა კოლეგიის ყოფილ ხელმძღვანელს კობეშავიძეს, პატიოსან მშრომელთა სისხლში ჩახრჩობით ემუქრებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს პატიოსანი მშრომელები მთელი გულით მოითხოვდნენ თერთმეტივე მავნებელ - დივერსანტის ფიზიკურად მოსპობას. მრავალი ასეული დეპეშა და წერილი მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ. ამ წერილებში და დეპეშებში მშრომელები ერთსულოვნად მოითხოვდნენ სამშობლოს გამყიდველთა დახვრეტას.

მოუთმენლად მოელოდნენ სიღნაღის მშრომელები სასამართლოს უკანასკნელი სხდომის დაწყებას და განაჩენის გამოტანას. 28 აგვისტოს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, დაიწყო უკანასკნელი სხდომა.

თეატრის ირგვლივ ტევა არ არის. ბაღში რადიოგადამცემთან დიდძალ ხალხს მოუყრია თავი. ბრალდებულებმა ყაჯრიშვილმა და ჯავაშვილმა დაამთავრეს უკანასკნელი სიტყვები. ორივემ სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა სასამართლოს.

7 საათსა და 50 წუთზე სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ ამხ. მ. ისაკაძის თავმჯდომარეობით, ე. თათუზოვის და დათუხაშვილის შემადგენლობით გამოიტანა განაჩენი.

ჭუჭებსა და ძოლდებზე დიდძალი ხალხი შეკრებილა. ყველა თეატრისაკენ მიიჩქარის. ყველას უნდა მოისმინოს განაჩენი. აი ამხ. მ. ისაკაძემ დაიწყო განაჩენის კითხვა. ყველა ფეხზე დგას და სულგანაბული უსმენს. შ. ალავერდაშვილს, ა. წითლიძეს, კ. აბაშიძეს, ი. სტეფანოვს, გ. მეტრეველს, ა. კობეშავიძეს და ვ. მახოშვილის სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, ყველას მიმართ მთელი პირადი ქონების კონფისკაციით.

ამ განაჩენს დარბაზი მჭუხარე ტაშით შეხვდა.

— სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს! — ისმოდა წამოძახილები.

— გაუმაგრდეს რევოლუციურ მართლმსაჯულებას, მადლობა სასამართლოს!

ტაში დიდხანს გაგრძელდა.

O

გუშინ, 29 აგვისტოს, საღამოს, რაიონის კოლმეურნეობებსა და ქალაქის წ

აღვზარდოთ სტახანოველთა მრავალრიცხოვანი არმია!

ორდენოსანი მემანქანე

სერგო კურტანიძე მოწინავე ახალგაზრდა მემანქანეა. იგი თავდადებულ ანტერესდება რკინიგზით, მან 1930 წელს ზეინკლად დაიწყო მუშაობა თბილისის საორთქლმავლო დეპოში, ხოლო 1932 წლიდან კი საელექტრომავლო დეპოს მემანქანეა.

სერგო თავდადებულ გამოეხმაურა ცრიეონოსულ მოძრაობას. ტექნიკური სიჩქარე სურამის უღელტეხილზე საშუალოდ საათში ითვალისწინებდა 29 კილომეტრის გარბენას, სერგო ამის შესახებ ამბობს:

— მე კრიეონოსულ მოძრაობაში 1935 წელს ჩავები და 29 კილომეტრის ნაცვლად ტექნიკური სიჩქარე საათში ავიყვანე 43 კილომეტრამდე; ამით გადიდდა მატარებლების მოძრაობაში გაშვება. თუ დღეღამეში 18 წყვილი მატარებელი გადიოდა, ახლა, ტექნიკური სისწრაფის გადიდების შემდეგ, გადის 21 წყვილი.

— ჩემს მუშაობას გამოეხმაურნენ მემანქანეები: ვ. ფრანჩუკი, ჯაფარიძეილი, მანჯავიძე, ტატიშვილი და სხვები, მათ მიაღწიეს 43 კილომეტრის გარბენას საათში.

საელექტრომავლო დეპოს ყოფილი უფროსი გარეწარი ტროცკისტი ვ. შუბლაძე აგიტაციას ეწეოდა მემანქანეებში, რომ ტექნიკური სისწრაფის მაღალი მაჩვენებლები გამოიწვევს ელმავლების დაზსვრევასა და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა პირადად ამხ. სერგო კურტანიძეს. ხაშური-თბილისის და ხაშური-ჯუჯულის უბნებზე ჩვეულებრივ მძლავრ ელმავლებს მიჰქონდათ 2000 ტონიანი შემადგენლობა, ახლა ს. კურტანიძის ინიციატივით ამ გზებზე ელმავლები 2500 ტონიან შემადგენლობას ეწევიან. ამხ. სერგოს სტახანოვურ-კრიეონოსულმა მუშაობამ დაამტკიცა ისიც, რომ „ელ“ სერიის ელმავალს შეუძლიან ატაროს უფრო მძიმე წონის შემადგენლობა.

ამის შემდეგ გამარჯვებულმა ორდენოსანმა მემანქანემ აიღო ახალი ვალდებულება—„სუ“-ს სერიის ელმავლით ჩამოიყვანოს ჩასასხმელი შემადგენლობა, წონით 3500 ტონა, ნაცვლად 2500 ტონისა. სერგომ ეს დაპირებაც სტახანოვურად გაანაღდა.

აშკარაა, ამით ჩვენი ელდეპოს მემანქანეებმა დაამტკიცეს, რომ საბჭოთა სისტემის ელმავლებს შეუძლიანთ ატარონ მძიმე წონის მატარებლები. ახლა საბოლოოდ შემოღებულია ახალი ნორმები, რომლის მიხედვით 2500 ტონის სიმძიმის მატარებლების გაშვება მოხდება ყველა სერიის ელმავლით.

ამხ. სერგო კურტანიძემ საწარმოო თათბირზე წამოაყენა აგრეთვე წინადადება მატარებლების ურემონტოდ და პერიოდული გასინჯვის ჩაუტარებლად დიდ მანძილზე გარბენის შესახებ. ხალხის მტერი—ტროცკისტი ვ. შუბლაძე ამ საქმეშიც ხელს უშლიდა ამხ. კურტანიძეს. მაგრამ ბელმა შუბლაძემ კარგად იცოდა, რომ ორდენოსან კურტანიძის წინადადების გატარება დიდ ეკონომიას მოუტანდა რკინიგზის ტრანსპორტს, რაც მისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა... და კატეგორიულად განუცხადა:—არ შეიძლება ამის განხორციელებაო. მიუხედავად ამისა, სერგომ აიღო ვალდებულება გაერბინა 50.000 კილომეტრი ურემონტოდ და პერიოდული გასინჯვის გარეშე. ამას მან მიაღწია და გადააჭარბა კიდეც.

ჩვენი ორდენოსანი კრიეონოსელი მემანქანე ამხ. სერგო კურტანიძე ამჟამად დაწინაურებულია ელდეპოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

სერგო ამბობს: ახალი ენერგიით ვიმუშავებ სოციალისტურ ტრანსპორტის სტალინურად მუშაობისათვის.

გრ. ცუცქირიძე

სტახანოველები: ზევით (მარცხნიდან მარჯვნივ): ინუ. ამხ. მიქელაძე (ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი), ამხ. ნონიკაშვილი (ტყიბულის ქვანახშირის მაღარო), ამხ. ვასილ სამხარაძე (ჭიათურის მარგანეცის ორდენოსანი სტახანოველი), ამხ. დ. ფიფია (ტყიბულის ქვანახშირის მაღარო), ამხ. ა. ბუდანოვი (ტყიბული, სტალინის მაღაროს სტახანოველი), ამხ. ასხანიძე (ჭიათურა, მარგანეცის მწარეველი. ქვევით (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. აკაკი კუბლაშვილი (ტყიბულის ქვანახშირის მაღარო), ამხ. პეტროსოვი, (ჭიათურა, ტექნიკოსი), ამხ. ა. ძაგნიძე (ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი), ამხ. დვალი (ჭიათურის მარგანეცის მაღარო) და ამხ. ბ. ჭელიაანი (ჭიათურა, სტალინის მაღაროს გზის ოსტატი).

სტალინური ეპოქის შვილი

16 წლის ვახტანგმა შეიდწლედი რომ დაამთავრა, ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროში დაიწყო მუშაობა. შეუყვარდა მაღარო...

კომკავშირელმა მონდომებით შეუტია „შავი ოქროს“ სანგრევებს, სწრაფად აგორებდა მარგანეცით დატვირთულ ვაგონებს. მუშაობა რომ დამთავრდებოდა, ვახტანგი კვლავ მაღაროში რჩებოდა რამდენიმე ხანს და მონდომებით აკვირდებოდა მანქანებს, მაღაროს ძველ მუშებთან მივიდოდა და სწავლობდა მონგრევის ტექნიკას, ყურადღებით უსმენდა გამოცდილი მუშების რჩევა-დარიგებას, ბევრიც ისწავლა მათგან.

საქმის ასეთმა სიყვარულმა შედეგი გამოიღო. ექვსი თვის ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ დამკვრელის სახელი მოიპოვა.

მალე ჭიათურის მაღაროებში შრომის ახალი ენტუზიაზმი დაიწოთო. კომკავშირელმა ვასილ სამხარაძემ სტალინის სახელობის მაღაროში 1935 წლის 14 ოქტომბერს გეგმით გათვალისწინებული 9 ტონის ნაცვლად 51 ტონა მარგანეცი მოანგრია. ამის შემდეგ ამხ. ვ. სამხარაძეს მარგანეცის მრეწველობაში მრავალი მუშა ამოუდგა გვერდში და გაჩაღდა სტახანოვური მუშაობა. მრავალმა ათეულმა მოწინავე მუშამ ტექნიკის დაუფლებით და შრომის სწორი ორგანიზაციით შესძლო ძველი ტექნიკური ნორმების გადალახვა.

მარგანეცის მრეწველობაში კვლავ აგორდა სტახანოვური მოძრაობის მძლავრი ტალღა, მასში ახალ-ახალი ასეულები ებმებოდნენ.

ორდენოსან ვასილ სამხარაძის გამარჯვების შემდეგ კომკავშირელი ვახტანგ ჩაჩანიძეც დაინტერესდა, მას უნდოდა ლენინის სახელობის მაღაროში პირველად დაემყარებინა მარგანეცის მონგრევის სტახანოვური რეკორდი, ამისათვის ემზადებოდა, გულდასმით კითხულობდა გაზეთებს, ეცნობოდა მოწინავე სტახანოველების გამოცდილებას, ეუფლებოდა ტექნიკას. ოთხი დღის მზადების შემდეგ, 18 ოქტომბერს მან მარგანეცის მონგრევის ახალი რეკორდი დაამყარა. ამ დღეს გეგმა 600 პროცენტით შესრულა. მუშაობის დამთავრების შემდეგ მაღაროს მუშები ახალგაზრდა ვახტანგს ერთხმულად ულოცავდნენ გამარჯვებას.

ამ დღიდან ვახტანგ ჩაჩანიძე წინ მიდის. ახლა იგი ყოველდღიურ სწარმოო დავალებას 300—400 პროცენტით ასრულებს, და მუყაითად მეცადინეობს სოციალისტური შრომის ორწლიან კურსებზე. მოკლედ, კიდევ უფრო ამაღლებს თავის ტექნიკურ ცოდნას.

ვახტანგი დილით რომ გამოვა, პირველად სამუშაოს დაათვალიერებს, იტყვის ხარისხიანადაა თუ არა მისი სამუშაო მომზადებული, ამოწმებს იარაღებს, რომ შემდეგ მათი უვარგისობით ხელი არ შეეშალოს.

სტახანოვურად მუშაობის დაწყების შემდეგ ვახტანგ ჩაჩანიძე თვეში 1000 მანეთამდე ღებულობს. იგი ბიდნიერად ცხოვრობს. მას მალე იქნება 5-ოთახიანი ლამაზი სახლი, შეიძენს პატეფონი, 2 ნაკეთის საწოლი. შიფონერი და სხვა საოჯახო ნივთები.

ვახტანგი მონდომებით სწავლობს აგრეთვე ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლის გმირულ ისტორიას. მას საამოდ მოზრდილი ბიბლიოთეკა აქვს. იგი სწავლობს მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწერებს, კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას. მან უკანასკნელად წაიკითხა შოლოხოვის „გატეხილი უღირთხა“ და ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

ვახტანგი დიდი სტალინური ეპოქის ღირსეული შვილია, მის ოჯახში დამკვიდრდა ნამდვილი მხიარული, საამური ცხოვრება.

მ. გაფრინდაშვილი

შრომა სასახელო საქმეა

თბილისის ორთქლმავალთა დეპოში ზეინკლად დავიწყე მუშაობა 1932 წელს. სამი წლის განმავლობაში მოცემულ ნორმებს 150 პროცენტით ვასრულებდი.

1935 წელს ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსი სტახანოვის მიღწევებმა. სხვებთან ერთად ეც განვიზრახე გავმხდარიყავი სტახანოველი. ტექნიკის დაუფლებით მივაღწიე 3 ნორმის შესრულებას. ეს იყო პირველი ნაბიჯი. ერთხელ მიღწეულმა წარმატებამ გამათამამა და ახალი გამარჯვების სურვილმა გამიტაცა. ამჟამად ჩემს ბრიგადაში ოთხ კაცს ნორმას ვასრულებ. დიდად გაიზარდა ჩემი ხელფასიც. თუ წინათ თვეში 350 მანეთს ვღებულობდი, ამჟამად ჩემი თვიური ხელფასი 700 მანეთს აჭარბებს.

შარშან აპრილს მოსკოვში დავესწარი ტრანსპორტზე მომუშავე სტახანოველთა სრულიად საკავშირო შეკრებას. მაშინ მე ბედნიერება მქონდა კრემლის დიდ დარბაზში პირველად მენახა პარტიის და მთავრობის სახელოვანი ხელმძღვანელები, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლები: ამხანაგები მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, მიკოიანი, ანდრეევი და სხვ. არასოდეს არ დამავიწყდება ის ბედნიერი წუთები, როდესაც ამხ. კაგანოვიჩმა სიხარულით ხელის სათბა ჩამომართა.

პარტია და ხელისუფლება მაფასებენ და მატერიალურ მდგომარეობას მიუმჯობესებენ. მომცეს ოთახიანი ბინა მეორე სართულზე და შესაფერისადაც მომართეს. მაქვს პატეფონი, ბუფეტის მშვენიერი მაგიდა, რბილი ავეჯი, როგორც მე, ისე მთელი ჩემი ოჯახი კარგად ვიცვამთ, თეთრეულიც ბევრი გვაქვს. არც ფული გვაკლია.

მე ვმუშაობ და თან ვსწავლობ. წელს თბილისის მუშფაკი დავამთავრე და სექტემბრიდან სოციალისტური შრომის ოსტატთა სამთვიან მოსამზადებელ კურსებზე მიღებულ ცოდნას კიდევ უფრო გავაღრმავებ.

შ. ხაზანაშვილი.

მოპოვებული მიღწევები შევინარჩუნე

კარგად მახსოვს, ეს იყო 1931 წელს, როცა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში დავიწყე მუშაობა. ამონდენა კომბინატი, უამრავი მანქანები, საქსოვი დაზგები ვერც კი წარმოედგინა...

გავიდა გაოცების პირველი ათეული დღეები და კარგად შევეჩვიე ყველაფერს. მანქანები, დაზგები ჩემი საყვარელი მეგობრები გახდნენ. მათ მზრუნველობით დავსტრაბაზდი. მათ მზრუნველობით დავსტრაბაზდი თავს, ვზეთავდი, ვწმენდდი, ვუვლიდი და სულ იმის ფიქრში ვიყავი, რომ ჩემს დაზგას სულ მეტი და მეტი მაღალხარისხოვანი ქსოვილი გამოეშუშავებინა.

კომბინატში ამხანაგები კარგად დამებმარნენ, მალე გავიწაფე, დავეუფლე ქსოვის ტექნიკას და 1935 წლის დეკემბერს პირველმა გადავლახე ძველი ტექნიკური ნორმები.

სტახანოველი! — აი, საამაყო სახელწოდება, რომელიც მომენიჭა მაშინ და მომეცა ბედნიერი შემთხვევა მენახა საბჭოთა კავშირის დედაქალაქი—მოსკოვი, მენახა მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი, ბრძენი ბელადი დიდი სტალინი.

არასოდეს არ დამავიწყდება მოსკოვში განცდილი წუთები, დიდი ბელადის მამობრივი მზრუნველობა.

ორდენით დაჯილდოებამ ახალი ენერგია შემმატა, თითქოს ახალი სისხლი ჩამიდგა ძარღვებში და დაბრუნებისას კიდევ უფრო მეტი ენერგიით დავიწყე მუშაობა, უფრო გულმოდგინედ დავსტრაბაზდი ოავს ჩემს დაზგებს.

მას შემდეგ საგრძნობლად გავზამტკიცე მოპოვებული მიღწევები. დაწოყიდებლად ვმუშაობ 4 დაზგაზე და გეგმას 168-170 პროცენტით ვასრულებ. ჩემი ქსოვილი მაღალხარის. ხოვანია, წუნი არა მაქვს.

აქვე უნდა შევნიშნო, ერთხანს როგორც საერთოდ ქარხნის, ისე პირადად ჩემი მუშაობაც საგრძნობლად შეფერხდა კომბინატის ყოფილი ხელმძღვანელების, ხალხის მტრების, კონტრრევოლუციონერ - ტროცკისტების პეტუხოვის (ყოფ. დირექტორი), ჩოგაძიძის (ყოფ. ტექნიკური დირექტორი) და სხვების მავნებლური მოქმედებით. მათ ხელოვნურად შეჰქმნეს ნედლი მასალის ნაკლებობა, ხშირად მიცვლიდნენ ასორტიმენტს, არ ზრუნავდნენ მანქანების რემონტზე და სხვ. რითაც სცდილობდნენ სტახანოვური მუშაობის ჩაშლას.

გეგმის შესრულების მაჩვენებლები 130 პროცენტს ქვევით არ დამიწევია, ხოლო მავნებლების აღაგმვის შემდეგ გეგმას 168 პროცენტით ვასრულებ. ახლა წინადღელთან შედარებით უფრო დიდ დაზგებზე ვმუშაობ. უკეთესად მუშაობენ სხვა სტახანოველებიც.

მე ამხანაგებს ხშირად ვუზიარებდი ჩემს გამოცდილებას, ვუხსნიდი და ვასწავლიდი მათ სტახანოვურად მუშაობას. ჩემი დახმარებით სტახანოველი მჭედელი ივდითი ძიძიგური 2 დაზგიდან 4 დაზგაზე გადავიდა, ახლა იგი გეგმას ასრულებს 110—120 პროცენტით, დამკვრელ მჭედელ ავრაფინა ტყაბლაძესაც დავეხმარე, ვასწავლე ორი მაქონს ხმარება, რაც დროის დიდ ეკონომიას იძლევა, ამის შემდეგ ტყაბლაძე ორ დაზგაზე მუშაობს და საუკეთესო სტახანოველია.

ჩემთან მოწაფედ მუშაობს ელენე ჭელიძე, ის ახალი მუშაა. სტახანოვური მოძრაობის ორი წლის თავთან დაკავშირებით ვკისრულობ ყოველმხრივ დაეხმარო ჩემს ამხანაგებს, კერძოდ ელენე ჭელიძეს მალე შევასწავლო ჭსოვს ტექნიკა და გავხადო დამკვრელი, ხოლო ორი თვის შემდეგ ორ დაზგაზე მომუშავე სტახანოველი.

ამ დაპირებას შევასრულებ. შემდეგ წავალ სასწავლებელში, გავიზრდები რამდენიმე წელი, და მეტი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული კვლავ დავუბრუნდები ჩემს საყვარელ წარმოებას.

სოფია ხოგუა

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ორდენოსანი სტახანოველი.

ჩვენი მუშაობა

17 წელია თბილისის კავშირგაბმულობის სატელეფონო ქსელის ხაზით ვმუშაობ. პირველად კაბელების მონტიორის თანაშემწედ ვიყავი, როცა სამუშაო კარგად შევისწავლე, მონტიორად დამაწინაურეს, მალე ბრიგადირად გამხადეს.

ჩემი სამუშაო თავისი სპეციფიურობით ძალიან რთულია, კაბელები სათუთი საქმეა, მას აუარებელი „წვრილმანი ხერხლები“ აქვს. კაბელების გადაბმას მიწაში ვახდენთ. მსხვილი კაბელის დაკავშირებას 48 საათი უნდა. არის ისეთი კაბელიც, რომელშიც 900 წყვილი მავთული გადის, თვითეული მავთული იზოლირებულია უბრალო ქაღალდით, ამიტომ კაბელის შეერთების დროს თვითეული თუ ფრთხილად არ ავიღეთ, სხვა მავთული დაზიანდება. პროფილაქტიკა ანუ კაბელების მიწაში გაწმენდა ტალახისაგან, სერიოზულ მუშაობას მოითხოვს.

მე იმდენად დავეხელოვნდი, რომ კაბელის საამქროს უფროსად დამნიშნეს, მე და ჩემი ამხანაგები: კამსარ აბრამოვი, ლ. ხოდორჩენკო, ზ. არუთინოვი და სხვები. გეგმას 153-165 პროცენტით ვასრულებთ. პირადად მე თვეში 650 მანეთი გამომდის, დაჯილდოებული ვარ 15-ჯერ.

ჩვენთან სტახანოვურ მოძრაობას ხელს უშლიდნენ ხალხის მტრები უჩანეიშვილი და ს. გრიგორიევი. ისინი დროზე არ გვაძლევდნენ კაბელს, კაბელს, მავთულს და სხვა მასალას. ამით ფერხდებოდა სატელეფონო სადგურის მუშაობა.

1933 წელს დამკვრელური მუშაობისათვის მე დამაჯილდოვეს ოთახით, მაგრამ მავნებლებმა ეს საქმე ჩამიშალეს, ყურადღება არ მომაქციეს და ეს დაჯილდოვება დაპირებად დარჩა. ამ საქმეში ახლა უნდა დამეხმაროთ.

მე მომავალში კიდევ უფრო მეტს ვისწავლი, უფრო დავეუფლები ჩემს სპეციალობას, რომ სხვებსაც ვასწავლო მუშაობის სტახანოვური მეთოდები და საერთო ძალღონით გავაუმჯობესოთ კავშირგაბმულობის მუშაობა.

ნ. საფაროვი.

უშა ახუბას და ცაცა ქარდავას ახალი რეკორდები

აფხაზეთის ჩაის პლანტაციების ცნობილმა სახანოველებმა ცაცა ქარდავამ და უშა ახუბამ ახალ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ჩაის ფოთლის კრეფაში. უშა ახუბამ, ნორმით გათვალისწინებული 10 კილოგრამის ნაცვლად, ჩაის დღიური კრეფა 202,9 კილოგრამამდე აიყვანა, ხოლო ცაცა ქარდავამ—207,5 კილოგრამამდე. ამგვარად, მათ გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი; ეს ვალდებულებანი მათ იკისრეს იმ ყრილობაზე, რომელმაც რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა.

წარჩინებულ სტახანოველთა გამოცდილებას იყენებს რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა. ამასწინათ გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მოიწვია ჩაის მკრეფავთა თათბირი. მათ განიხილეს, თუ როგორ მიაღწიეს ახალ რეკორდებს უშა ახუბამ და ცაცა ქარდავამ. სწავლობენ რა აფხაზეთის ჩაის საუკეთესო მკრეფავთა მეთოდებს, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავები გვიჩვენებენ მუშაობის ნიმუშებს. მკრეფავებმა წარმოადგინეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა 120,3 კილოგრამამდე აიყვანა, ხარისტონ შადანიამ წინათ მოკრეფილი 32 კილოგრამის ნაცვლად, მოკრიფა 78,7 კილოგრამი და სხვ. ამის შედეგად წლიური გეგმის 70.400 კილოგრამიდან კოლმეურნეობამ უკვე მოჰკრიფა 64 ათას კილოგრამზე მეტი.

ამრიგად, უშა ახუბა და ცაცა ქარდავა ბრწყინვალე წარმატებებით ხვდებიან სტახანოვური მოძრაობის ორი წლისთავს (საქდესი).

პარტიაში მიღების შესახებ *)

ვ. გოგეშვილი

ალკა „უსერიოზულესი რეზერვია საკ. კ. პ. (ბ) რიგების შესავსებად“

უკანასკნელ დრომდე პარტიის კანდიდატებად მიღებულია 79 კომკავშირელი, რაიკომების მიერ—146. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ „პარტიაში კომკავშირელთა ჩაბმის შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილების შემდეგაც ამ მხრივ სერიოზული გარდატეხა არ მომხდარა.

არიან თუ არა სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში შემოწმებული, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული კომკავშირელები, რომლებიც პარტიაში მიღების ღირსნი არიან? თბილისში 25 ათასზე მეტი კომკავშირელია, მათგან 2600 კაცზე მეტი ეწევა აქტიურ კომკავშირულ მუშაობას (კომკავშირის თბილისის კომიტეტისა და რაიკომების წევრები, კომკავშირის კომიტეტთა მდივნები, პროპაგანდისტები). საწარმოებში ათასობითაა საუცხოო კომკავშირული ახალგაზრდობა — აქტივისტი სტახანოველები, პოლიტიკურად მომზადებულნი, თავისი საქმის ტექნიკას დაუფლებულნი. კომკავშირის თბილისის კომიტეტმა და რაიკომებმა, პირველადა პარტორგანიზაციებმა უნდა შეისწავლონ ისინი და გულმოდგინე ინდივიდუალური შერჩევის საფუძველზე საუკეთესოებს მათგან მისცენ რეკომენდაცია პარტიაში შესასვლელად.

პარტიაში კომკავშირელთა ჩაბმის მხრივ ცუდი მუშაობის მაჩვენებლებს წარმოადგენენ ისეთი ფაქტები, როგორიც, მაგალითად, ის, რომ თბილისის ერთერთ საუკეთესო საწარმოს—26 კომისრის სახ. ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციაში ითვლება 91 კაცი, მათგან 28 აქტივისტია, ხოლო პარტიაში ამ ბნის განმავლობაში მიღებულია მხოლოდ 1 კომკავშირელი. ან კიდევ ის, რომ ავტოსარემონტო ქარხნის ორგანიზაციაში ითვლება 142 კომკავშირელი, მათგან 42 სტახანოველია, პარტიის კანდიდატად კი არცერთი კომკავშირელი არ არის მიღებული.

შემდეგ, პარტიაში მიღებასთან დაკავშირებით, მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ დაუშვებელია პარტიაში მიღებისათვის საჭირო დოკუმენტთა დაუდევრად გაფორმება (ანკეტებისა და დახასიათებათა დაუდევრად და არა სწორად შედგენა, ანკეტისა და რეკომენდაციის ცნობების სხვადასხვაობა, შეცდომები ოქმის ამონაწერებში). ეს პარტიაში მიღების შესახებ მიცემულ განცხადებათა განხილვის შეფერხების ერთერთი მიზეზია. პირველადი ორგანიზაციები საერთო კრებებზე ხშირად განიხილავენ ხოლმე ამა თუ იმ ამხანაგის მიღების საკითხს, მაშინ როდესაც შემსვლელის ანკეტაში უხეში შეცდომებია დაშვებული, ან საერთოდ არ არის ყველა აუცილებელი დოკუმენტი. ასეთი ფაქტები ხშირად რაიკომშიც არის ხოლმე. ეს იმიტომ ხდება, რომ სუსტად არის დაყენებული პარტკომების მდივნების და პარტორგების ინსტრუქტაჟი, გამსაკუთრებით ისეთებისა, რომლებიც ცოტა ხნის წინათ არიან დანიშნული. ამიტომ საჭიროა მათ ეცნობოთ მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილებას, ეუფლებოდეთ ტექნიკას, ეხმარებოდეთ მათ ორგანიზაციებში მიღების დარგში მუშაობის გაშლისას ყველა პარტიულ ორგანიზაციას მტკიცედ უნდა ახსოვდეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის შემდეგი გაფრთხილება, მიმართული ყველა პარტორგანიზაციისადმი:

„პარტიაში ახალ წევრთა მიღებას რომ განაახლებენ, პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ახსოვდეთ, რომ მტრულად განწყობილი ელემენტები შემდეგშიაც შეეცდებიან საკ. კ. პ. (ბ) რიგებში გაძვრომას. თვითეული პარტიული ორგანიზაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა ყოველმხრივ აამაღლონ ბოლშევიკური სიფხიზლე, მაღლა ეჭიროთ ლენინური პარტიის დროშა და უზრუნველჰყონ პარტია იმისაგან, რომ მის რიგებში არ შეიპარონ უცხო, მტრულად განწყობილი და შემთხვევითი ელემენტები“.

ბოლშევიკური სიფხიზლის ამაღლებამ გამოხატულება უნდა ჰპოვოს პარტიულ მეურნეობაში წესრიგის შემდგომ დამყარებაში, პარტიულ საიდუმლოებათა დაცვაში.

არ შეიძლება აგრეთვე გვერდი ავუაროთ პარტიის ზოგიერთი წევრისა და კანდიდატის მიერ პოლიტიკური უდარდელობისა და დოყლაპიობის გამოჩენის ფაქტებს, რაც გამოიხატება **მათ მიერ პარტბილეთებისა და საკანდიდატო ბარათების დაკარგვაში.** პარტდოკუმენტთა გამოცვლის შემდეგ თბილისის ორგანიზაციაში დაკარგულია ახალი ნიმუშის 148 პარტბილეთი და საკანდიდატო ბარათი. დაკარგულ პარტდოკუმენტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ნაპოვნი არ არის.

პარტდოკუმენტთა დაკარგვის 97 საქმეზე, რომლებიც განხილულია, რაიკომების მიერ აღძრულია შუამდგომლობა 68 პარტდოკუმენტის გაცემის შესახებ, ხოლო 24 კაცი გარიცხულია პარტიიდან.

პარტორგანიზაციები შემდეგშიც სისტემად უნდა მოეკიდონ პოლიტიკური სიბრძნისა და უდარდელობის აშკარა უარსაყოფად გამოვლინებებს. მაგრამ რაიკომები და პირველადი პარტორგანიზაციები არ უნდა დასჯერდნენ პარტდოკუმენტთა დაკარგვის საქმეების განხილვასა და სასჯელის დადებას და უნდა მიიღონ ზომები პარტდოკუმენტთა დაკარგვის ფაქტების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ **პარტიაში ახალ მიღებულებთან მუშაობის საკითხზე.** საჭიროა ჩაეპაბათ ისინი პარტიულ პრაქტიკულ მუშაობაში.

„საჭიროა მივაღწიოთ იმას, — როგორც ნათქვამია საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის (1935 წ.) გადაწყვეტილებაში, — რათა თავისი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და დახმარებით პარტიის ყოველმა ახალმა კანდიდატმა და წევრმა ერთბაშად იგრძნოს **უპარტიობიდან ბოლშევიკურ ორგანიზებულობაზე გადასვლის მთელი პასუხისმგებლობა** და გაიმსჭვალოს პარტიის საქმისათვის პასუხისმგებლობის შეგნებით გარშემო მყოფი მასების წინაშე“.

ცენტრალური კომიტეტის ეს მითითება მით უფრო წარმატებით იქნება რეალიზებული, რაც უფრო მალე ჩავაბამთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ახალ შევსებას აქტიური პარტიულ-პოლიტიკური მუშაობაში, მოვეპყრობით მათ ყურადღებითა და მზრუნველობით, მათგან უფრო მომზადებულებსა და გამოცდილებს დავაწინაურებთ ხელმძღვანელ სამუშაოზე სამეურნეო, პროფესიული, საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ხაზით. ახალმიღებულთა შორის ცოტა როდია მტკიცე ამხანაგები, მაგრამ როგორც ვერ ვხედავთ, რომ რაიკომები და პარტკომები აწინაურებდნენ მათ და ეხმარებოდნენ გაიზარდონ პრაქტიკულ მუშაობაში. ჩვენ გვაქვს დაწინაურების მხოლოდ თითოოროლა შემთხვევა.

ამჟამად ყოველი პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ახალგაზრდა, ერთგული კადრების გაბედულად დაწინაურება — გულისხმობს აგრეთვე პარტიაში ახალმიღებულთა გაბედულად დაწინაურებას და ბოლშევიკურად აღზრდას მუშაობაში. ამ საქმეს მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა და პირველადმა ორგანიზაციებმა.

ახალმიღებულთა პასუხისმგებლობისა და ბოლშევიკური ორგანიზებულობის ამაღლების ამოცანა მოითხოვს აგრეთვე იმას, რომ მათ დროზე მიიღონ პარტიული დოკუმენტები.

მაგრამ პარტდოკუმენტთა გაცვლის საქმე ჩვენში კარგად ვერ არის დაყენებული.

პარტიის თბილისის კომიტეტის მიერ კანდიდატებად მიღებულთაგან (150 კაცი) საკანდიდატო ბარათები მიიღო ჯერჯერობით 34 კაცმა, პარტიის წევრებად მიღებულთაგან (133 კაცი) მხოლოდ 20 კაცმა.

აღარ შევჩერდებით პარტიულ - მასობრივი და ორგანიზაციული მუშაობის სხვა საკითხებზე და განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ პარტიაში მიღების მხრივ ჩვენი მუშაობის სერიოზული გაუმჯობესებისა და მიღების რამდენადმე დაჩქარებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ბევრ პირველადს პარტორგანიზაციაში ლიკვიდირებულ იქნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც, წინააღმდეგ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებისა, ფაქტიურად „უწინდებურად დახურულია მიღება საკ. კ.პ. (ბ) რიგებში“ (10 აგვისტოს „პრავდა“) — საჭიროა შემდგომი გარდაქმნა და უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა მთელი პარტიულ-პოლიტიკური, პარტიულ - მასობრივი მუშაობისა ყველა სწარმოოში, განსაკუთრებით ჩამორჩენილებში.

როგორია თბილისის პარტორგანიზაციის ამოცანები პარტიაში მიღების საქმეში?

საჭიროა უახლოეს დროში აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი პარტიის რიგების შემსვენი რეზერვის (თანამგრძნობები, კომკავშირი) მიღებისა და მასთან მუშაობის საკითხებში.

საჭიროა კიდევ უფრო გავამახვილოთ რევოლუციური სიფხიზლე და თვალგამჭრიახობა, უფრო მტკიცედ და ფხიზლად დავიცვათ პარტორგანიზაციის რიგები, რომ მასში არ შეიპარონ მტრულად განწყობილი ელემენტები, არ შეიპარონ ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები, მოღალატეები, დივერსანტები.

პარტიაში მიღების მუშაობის გაშლისას მტკიცედ უნდა შევითვისოთ და განვახორციელოთ ამ. ბერიას მითითება, რომელიც მან საქართველოს კ.პ. (ბ) X ყრილობაზე მოგვცა:

„ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ და დაიხსომონ, რომ პარტიაში მიღების საქმე მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმეა.

უაღრესი დაკვირვებითა და გარჩევით უნდა მივიღოთ ადამიანები პარტიაში, რათა არ მივცეთ შესაძლებლობა მტრულ, უცხო და უღირს ადამიანებს, გაძერნენ პარტიაში.

ბოლშევიკების პარტიაში უნდა მივიღოთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე, ლენინ-სტალინის საქმის, პარტიის ბრძანდის დიდი სტალინის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „კომ.“ 27 და 28 აგვისტოს ნომერში.

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՄԻՆԻՍՏՐՆԵՐԻ ԽՈՐՀՐԴԻ ՈՐՈՇՈՒՄ

Հայկական ՍՍՀ նախարարների խորհրդի նախագահ

Ա. Ա. ԴԱՎԹՅԱՆ

Հայկական ՍՍՀ նախարարների խորհրդի առաջին տեղակալներ

Ա. Ա. ԱՐՇԱԿՅԱՆ

Ա. Ա. ՄԱՐԳԱՐՅԱՆ

Հայկական ՍՍՀ նախարարների խորհրդի տեղակալներ

Ա. Ա. ԱՎԱԳՅԱՆ

Ա. Ա. ԱՐԶՈՒՄԱՆՅԱՆ

Ա. Ա. ԱՐՇԱԿՅԱՆ

Ա. Ա. ԳՐԻԳՈՐՅԱՆ

Ա. Ա. ԳՐԻԳՈՐՅԱՆ

Ա. Ա. ԴԱՎԹՅԱՆ

Ա. Ա. ԴԱՎԹՅԱՆ

**Ա. Ա. ԴԱՎԹ